# სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 11,688.8 მილიონ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 77%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 21.4 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 8.8 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 2.04%-ს.

**სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით**




2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის 67% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე. სახელმწიფო საგარეო ვალის 42% SDR-ში დენომინირებული (ნასესხობის სპეციალური უფლება) მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური რესურსების დიდი წილის გამო.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი




სავალუტო სტრუქტურა



# სახელმწიფო საგარეო ვალის სტრუქტურა - 2017 წლის 30 ივნისის  მდგომარეობით

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი ათასი აშშ დოლარი | ნაშთი ათასი ლარი | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი 30.06.2017 | შეწონილი საპროცენტო განაკვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|
| *სახელმწიფო საგარეო ვალი* | | ***4,855,786*** | ***11,688,847*** | | | |
| **მრავალმხრივი კრედიტორები** | | **3,568,520** | **8,590,142** | | | |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA) | SDR | 889,563 | 2,141,357 | 0.75% | 0.75% | 0.137% |
| | | 267,274 | 643,381 | 2.00% | 2.00% | 0.110% |
| | | 9,525 | 22,930 | 2.15% | 2.15% | 0.004% |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IBRD) | EUR | 53,812 | 129,536 | LIBOR + Variable Spread | 0.70% | 0.008% |
| | USD | 193,627 | 466,100 | | 1.57% | 0.063% |
| | | 51,245 | 123,356 | | 1.77% | 0.019% |
| | | 14,648 | 35,260 | | 1.87% | 0.006% |
| | | 126,751 | 305,116 | | 1.97% | 0.051% |
| | | 10,000 | 24,072 | | 2.05% | 0.004% |
| | | 134,307 | 323,305 | | 2.07% | 0.057% |
| | | 34,564 | 83,204 | | 2.08% | 0.015% |
| | | 120,000 | 288,864 | | 2.35% | 0.058% |
| | | 23 | 54 | | 2.36% | 0.000% |
| | | 15,142 | 36,449 | | 2.37% | 0.007% |
| | | 10,385 | 24,999 | | 2.40% | 0.005% |
| სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | SDR | 20,218 | 48,668 | 0.75% | 0.75% | 0.003% |
| | | 2,635 | 6,342 | 2.00% | 2.00% | 0.001% |
| | | 5,231 | 12,592 | (SDR LIBOR + IBRD Variable Spread)/2 | 0.95% | 0.001% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF PRGF,NBG) | SDR | 1,948 | 4,689 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,NBG) | SDR | 41,742 | 100,481 | SDR Rate of Charge | 1.61% | 0.014% |
| საერთაშორისო სავალუტო ფონდი (SBA ) | SDR | 111,311 | 267,948 | SDR Rate of Charge | 1.61% | 0.037% |
| ევროგაერთიანება (EU) | EUR | 11,401 | 27,444 | 0.52% | 0.52% | 0.001% |
| | | 14,821 | 35,677 | 0.52% | 1.16% | 0.004% |
| ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD) | EUR | 129,313 | 311,283 | EURIBOR+ 1% | 0.79% | 0.021% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | SDR | 65,227 | 157,014 | Fix | 1.00% | 0.013% |
| | | 383,215 | 922,474 | | 1.50% | 0.118% |
| | | 53,470 | 128,712 | | 1.60% | 0.018% |
| | | 194,945 | 469,271 | | 2.00% | 0.080% |
| | EUR | 22,678 | 54,590 | EURIBOR + Fixed Spread | -0.09% | 0.000% |
| | | 120,447 | 289,939 | LIBOR + Fixed Spread | 1.66% | 0.041% |
| | | 50,000 | 120,360 | | 1.79% | 0.018% |
| | | 37,929 | 91,302 | | 1.86% | 0.015% |
| | USD | 34,172 | 82,258 | | 1.87% | 0.013% |
| | | 20 | 48 | | 2.04% | 0.000% |
| | | 22,862 | 55,033 | | 2.05% | 0.010% |
| | | 5,389 | 12,972 | | 2.06% | 0.002% |
| ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB) | EUR | 9,522 | 22,920 | Fix | 0.86% | 0.002% |
| | | 22,802 | 54,888 | | 0.87% | 0.004% |
| | | 11,401 | 27,444 | | 1.65% | 0.004% |
| | | 26,479 | 63,741 | | 1.69% | 0.009% |
| | | 22,802 | 54,888 | | 1.94% | 0.009% |
| | | 39,903 | 96,054 | EURIBOR+0.183% | 0.00% | 0.000% |
| | | 22,802 | 54,888 | EURIBOR+0.505% | 0.27% | 0.001% |
| | | 15,590 | 37,528 | EURIBOR + 0.75% | 2.50% | 0.008% |
| | | 82,242 | 197,972 | EURIBOR+0.75% | 0.51% | 0.009% |
| | | 7,062 | 17,000 | EURIBOR+0.81% | 0.56% | 0.001% |
| | | 44,660 | 107,505 | EURIBOR + 0.82% | 0.57% | 0.005% |
| | | 3,420 | 8,233 | EURIBOR + 0.858% | 0.62% | 0.000% |
| **ორმხრივი კრედიტორები** | | **785,220** | **1,890,181** | | | |
| ავსტრია | EUR | 12,461 | 29,996 | 1.00% | 1.00% | 0.003% |
| აზერბაიჯანი | USD | 9,342 | 22,489 | 3.00% | 3.00% | 0.006% |

| კრედიტორი | კრედიტის ვალუტა | ნაშთი ათასი აშშ დოლარი | ნაშთი ათასი ლარი | საპროცენტო განაკვეთი | საპროცენტო განაკვეთი | შეწონილი საპროცენტო |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქმენეთი | USD | 211 | 508 | 4.00% | 4.00% | 0.000% |
| თურქეთი | USD | 17,906 | 43,103 | 3.00% | 3.00% | 0.011% |
| ირანი | USD | 7,227 | 17,397 | 3.00% | 3.00% | 0.004% |
| რუსეთი | USD | 74,938 | 180,390 | 4.00% | 4.00% | 0.062% |
| სომხეთი | USD | 10,674 | 25,694 | 3.00% | 3.00% | 0.007% |
| უზბეკეთი | USD | 196 | 471 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| უკრაინა | USD | 179 | 430 | 3.00% | 3.00% | 0.000% |
| ყაზახეთი | USD | 25,752 | 61,990 | 4.00% | 4.00% | 0.021% |
| ჩინეთი | CNY | 2,212 | 5,325 | 0.00% | 0.00% | 0.000% |
| გერმანია (KfW) | EUR | 137,037 | 329,876 | 0.75% | 0.75% | 0.021% |
| | | 3,817 | 9,188 | 1.65% | 1.65% | 0.001% |
| | | 251 | 604 | 1.90% | 1.90% | 0.000% |
| | | 39,332 | 94,680 | 2.00% | 2.00% | 0.016% |
| | | 26,065 | 62,744 | 2.20% | 2.20% | 0.012% |
| | | 8,701 | 20,945 | 4.20% | 4.20% | 0.008% |
| | | 42,753 | 102,915 | 5.70% | 5.70% | 0.050% |
| | | 15,547 | 37,425 | 6.68% | 6.68% | 0.021% |
| იაპონია | JPY | 23,206 | 55,861 | 0.01% | 0.01% | 0.000% |
| | | 137,085 | 329,991 | 0.65% | 0.65% | 0.018% |
| | | 1,998 | 4,811 | 1.30% | 1.30% | 0.001% |
| | | 15,785 | 37,996 | 1.40% | 1.40% | 0.005% |
| | | 25,408 | 61,162 | 2.30% | 2.30% | 0.012% |
| კუვეიტი | KWD | 13,155 | 31,667 | 3.00% | 3.00% | 0.008% |
| ნიდერლანდები | EUR | 182 | 438 | 4.20% | 4.20% | 0.000% |
| | | 929 | 2,237 | 5.10% | 5.10% | 0.001% |
| აშშ | USD | 345 | 829 | 1.50% | 1.50% | 0.000% |
| | | 9,288 | 22,359 | 2.00% | 2.00% | 0.004% |
| | | 6,497 | 15,640 | 2.25% | 2.25% | 0.003% |
| | | 8,423 | 20,275 | 2.50% | 2.50% | 0.004% |
| საფრანგეთი | EUR | 12,879 | 31,002 | 0.17% | 0.17% | 0.000% |
| | | 24,103 | 58,020 | 1.10% | 1.10% | 0.005% |
| | | 10,272 | 24,727 | 1.27% | 1.27% | 0.003% |
| | | 33,177 | 79,864 | 1.41% | 1.41% | 0.010% |
| | | 18,125 | 43,630 | EURIBOR + 1.8% | 1.80% | 0.007% |
| | | 9,763 | 23,501 | EURIBOR + 2.1% | 2.10% | 0.004% |
| **ფასიანი ქაღალდები** | | **500,000** | **1,203,600** | | | |
| ევროობლიგაცია 2021 | USD | 500,000 | 1,203,600 | 6.875% | 6.875% | 0.708% |
| **გარანტირებული კრედიტები** | | **2,046** | **4,925** | | | |
| გერმანია (KfW) | EUR | 2,046 | 4,925 | 0.75% | 0.75% | 0.000% |
| | | საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | | | | **2.04%** |

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 288,774.38 ათასი ლარი, მათ შორის - 180,960.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 107,814.3 ათასი ლარი პროცენტის თანხას.

## სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

## 2017 წლის 30 ივნისისთვის

| კრედიტორები | ვალების დაფარვა | პროცენტი | სულ 2017 |
|---|---|---|---|
| | 180,960.0 | 107,814.3 | 288,774.4 |
| *ავსტრია* | - | 301.0 | 301.0 |
| *კუვეიტი* | 2,418.0 | 555.7 | 2,973.8 |
| *იაპონია* | 3,389.0 | 2,282.8 | 5,671.8 |
| *გერმანია* | 25,406.8 | 7,944.5 | 33,351.3 |
| *აშშ* | 1,087.1 | 206.7 | 1,293.8 |
| *სომხეთი* | 1,547.2 | 431.3 | 1,978.5 |
| *აზერბაიჯანი* | 1,194.4 | 375.0 | 1,569.4 |
| *ირანი* | 954.9 | 292.0 | 1,246.9 |
| *ნიდერლანდები* | 203.2 | 69.5 | 272.8 |
| *რუსეთი* | 10,412.0 | 4,047.7 | 14,459.7 |
| *თურქეთი* | 2,267.8 | 780.7 | 3,048.4 |
| *უკრაინა* | 36.2 | 7.0 | 43.2 |
| *უზბეკეთი* | 39.7 | 7.6 | 47.3 |
| *საფრანგეთი* | 11,982.2 | 1,967.9 | 13,950.1 |
| *ჩინეთი* | 1,064.4 | - | 1,064.4 |
| IDA | 66,539.1 | 14,598.9 | 81,138.0 |
| IBRD | 14,996.5 | 15,507.2 | 30,503.7 |
| IFAD | 1,377.2 | 283.3 | 1,660.5 |
| EBRD | 11,828.5 | 1,409.5 | 13,238.1 |
| EIB | 7,744.9 | 2,709.7 | 10,454.6 |
| ADB | 16,470.9 | 10,366.9 | 26,837.8 |
| IMF | - | 1,818.2 | 1,818.2 |
| EU | - | 137.1 | 137.1 |
| *ევრობონდები* | - | 41,714.1 | 41,714.1 |

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 6 და 12 თვიანი სახაზინო ვალდებულებების და 2, 5 და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების ემისია. 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა შეადგინა: 6 თვიანზე 7.2%, 12 თვიანზე 7.4%, 2 წლიანზე - 7.7%, 5 წლიანზე - 8.2%, 10 წლიანზე - 10.0%.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად საშინაო ვალის ნაშთმა 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენა 2,746.2 მილიონი ლარი (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში - 2,784.8 მლნ ლარი), აქედან 2,260.4 მილიონი ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, ხოლო 485.8 მილიონი ლარი - „სახელმწიფო ობლიგაციები სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში.

# სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*ათასი ლარი*

| სულ | **2,784,788.0** |
|---|---|
| **სახაზინო ფასიანი ქაღალდები** | **2,298,942.0** |
| 6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 120,000.0 |
| 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები | 608,000.0 |
| 2 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 638,900.0 |
| 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 719,522.0 |
| 10 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები | 212,520.0 |
| **სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები** | **485,846.0** |
| სახელმწიფო ობლიგაცია სებ-სთვის | 320,846.0 |
| სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 165,000.0 |

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 834,180.2 ათასი ლარი, ძირითადი თანხის დაფარვამ კი 569,583.0 ათასი ლარი. შესაბამისად, ვალდებულებების ზრდა 264,597.2 ათასი ლარით განისაზღვრა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა (სებ-ის მიმართ ვალი) 17,000.0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ" 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" შეთანხმების შესაბამისად.

## სახელმწიფო ვალის ნაშთი 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*ათასი ლარი*

| კრედიტორი | | ნაშთი 30.06.2017 ათას ლარებში |
|---|---|---|
| **სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო კრედიტების ზღვრული მოცულობა** | | **11,688,847** |
| **მრავალმხრივი კრედიტორებისაგან** | | **8,484,972** |
| 1 | მსოფლიო ბანკი (WB) | 4,647,983 |
| 2 | სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) | 67,602 |
| 3 | საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) | 267,948 |
| 4 | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 311,283 |
| 5 | აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 2,383,972 |
| 6 | ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 743,062 |
| 7 | ევროკავშირი (EU) | 63,121 |
| **ორმხრივი კრედიტორებისაგან** | | 1,890,181 |
| 1 | ავსტრია | 29,996 |
| 2 | აზერბაიჯანი | 22,489 |
| 3 | თურქმენეთი | 508 |
| 4 | თურქეთი | 43,103 |
| 5 | ირანი | 17,397 |
| 6 | რუსეთი | 180,390 |
| 7 | სომხეთი | 25,694 |
| 8 | უზბეკეთი | 471 |
| 9 | უკრაინა | 430 |
| 10 | ყაზახეთი | 61,990 |
| 11 | ჩინეთი | 5,325 |
| 12 | გერმანია | 658,377 |
| 13 | იაპონია | 489,821 |
| 14 | კუვეიტი | 31,667 |
| 15 | ნიდერლანდები | 2,675 |
| 16 | ამერიკა | 59,103 |
| 17 | საფრანგეთი | 260,743 |
| **სხვა საგარეო ვალდებულებები** | | **1,203,600** |
| 1 | ევრობონდები | 1,203,600 |
| **სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები** | | **4,925** |
| 1 | გერმანია | 4,925 |
| **საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)** | | **105,170** |
| **საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **3,418,573** |
| 1 | ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია | 320,846 |
| 2 | სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის | 165,000 |
| 3 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები | 683,204 |
| 4 | ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 1,577,198 |
| 5 | "ისტორიული ვალი" | 672,325 |
| **სულ სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა** | | **15,107,420** |

*შენიშვნა: ცხრილში გამოყენებულია სავალუტო კურსები მოცემული თარიღისათვის;*

*ე. წ. „ისტორიული ვალის" მოცულობა საორიენტაციოა, ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია*